# სპორტ ინფო

ყოველდღიური სპორტული გაზეთი

№ 140(6989) | 18 ივლისი 2023 წ. სამშაბათი | ფასი 50 თეთრი


## The Sun: ნიუკასლი კვარაცხელიას არ ეშვება და თანხას ზრდის, ნაპოლი არ პასუხობს



„ნიუკასლ იუნაიტედის" მხრიდან ხვიჩა კვარაცხელიასადმი არსებულ ინტერესზე იტალიური პრესის შემდეგ უკვე ბრიტანულმა გამოცემებმაც დაწერეს. როგორც პოპულარული გაზეთი „The Sun" ამტკიცებს, „ნაპოლის" ქართველი შემტევი ინგლისელთა მთავარ სატრანსფერო სამიზნედ იქცა.

„The Sun" იუწყება, რომ „ნიუკასლმა" ნეაპოლელებს ხვიჩას თაობაზე წინადადებით რამდენჯერმე მიმართა და მის სანაცვლოდ ახლა უკვე 82 მილიონ ფუნტ სტერლინგს (დაახლ., 95 მლნ ევრო) სთავაზობს, თუმცა „კაჭკაჭებს" ჯერჯერობით პასუხი არ მიუღიათ. აღსანიშნავია, რომ კლუბს თავისი არსებობის ისტორიაში ასეთი დიდი თანხა არცერთ ფეხბურთელში გადაუხდია.

## პსჟ კილიან მბაპეს ულტიმატუმს წაუყენებს

„კონტრაქტს თუ არ გააგრძელებ, ახლავე წახვალ"



8 გვ.

## პსჟ-მ სიტის სილვას სანაცვლოდ დონარუმა და ვერატი შესთავაზა

8 გვ.



## ნოვაკ ჯოკოვიჩი: როჯერს და რაფას ბევრი პლუსიც ჰქონდათ და მინუსიც, კარლოსი სრულყოფილია

კარლოს ალკარასი: უიმბლდონზე ნოვაკის დამარცხებაზე ვოცნებობდი, ეს ჩემთვის ცხოვრების მთავარი დღეა

4-5 გვ.





2 გვ.

## Corriere dello Sport: იუვენტუსი ჩელსის ლუკაკუს ტრანსფერზე შეუთანხმდა

## ლუის ჰამილტონი: არ მაინტერესებს, რომელ პოზიციაზე დავამთავრებ სეზონს



8 გვ.

## სელტამ რონალდუს გუნდს ამხანაგურ მატჩში 5 უპასუხო გოლი გაუტანა

**სელტა 5:0 ალ ნასრი**



კრიშტიანომ გუშინ მოედანზე 48 წუთი გაატარა. „ალ ნასრი" თვის ბოლომდე „ბენფიკასთან", პსჟ-სა და „ინტერთან" სპარინგებსაც გეგმავს

## ბაიერნის დირექტორი: კეინის შეძენით ძალიან დაინტერესებულები ვართ



„ბაიერნის“ ხელმძღვანელობამ კიდევ ერთხელ დაადასტურა, რომ კლუბი „ტოტენჰემ ჰოთსპურის“ ფორვარდ ჰარი კეინს უმიზნებს. ამჯერად შესაბამისი განცხადება „რეკორდმაისტერის“ აღმასრულებელმა დირექტორმა იან-კრისტიან დრიზენმა გააკეთა.

— საიდუმლო არ არის, რომ კეინის შეძენით ძალიან დაინტერესებულები ვართ. ული ჰიონესი მართალი იყო, როცა თქვა, რომ კეინმა ჩვენთან გადმოსვლის სურვილი გამოხატა. თუმცა, სჯობს, ყურადღება თომას ტუხელის ნათქვამზე გავამახვილოთ, რომელმაც აღნიშნა, რომ ზოგჯერ მოვლენების ხელოვნურად დაჩქარება შეუძლებელია,- — დასძინა დრიზენმა.

კეინმა ინგლისის პრემიერლიგის 2022-23 წლების სეზონში 38 მატჩი ჩაატარა, 30 გოლი გაიტანა და 3 საგოლე პასი გააკეთა. მას ლონდონურ კლუბთან კონტრაქტი 2027 წლის ივნისის ბოლომდე აკავშირებს. მისი შეძენა „პარი სენ-ჟერმენსაც“ სურს, თუმცა პარიზელებს ესმით, რომ ფეხბურთელი უპირატესობას „ბაიერნს“ ანიჭებს. ESPN-ის ინფორმაციით, ჰსჟ მზადაა, „ტოტენჰემს“ კეინის სანაცვლოდ 100 მილიონ ევროზე მეტი შესთავაზოს, თუკი „ბაიერნში“ მისი ტრანსფერი ჩაიშლება. აღსანიშნავია, რომ მიუნხენური კლუბი 90 მილიონს იმეტებს, რაზეც „ტოტენჰემი“ უარს ამბობს.

## მანჩესტერი რაშფორდს კვირაში 325 000 ფუნტს გადაუხდის

ჟურნალ „The Times“-ის ინფორმაციით, „მანჩესტერ იუნაიტედსა“ და მარკუს რაშფორდის შორის კონტრაქტის გახანგრძლივების თაობაზე მოლაპარაკებები წარმატებით მიმდინარეობს. კლუბი მას ხელფასის მნიშვნელოვნად მომატებასაც ჰპირდება და თუ ახლა კვირაში 250 00 ფუნტ სტერლინგს (290 000 ევრო) უხდის, ახალი გარიგების შემდეგ ყოველ კვირაში ანგარიშზე 325 000 ფუნტს (378 000) ჩაურიცხავს.



მხარეები 5-წლიანი კონტრაქტის სხვა ძირითად პირობებზეც შეთანხმდნენ და ახლა მცირე დეტალებს აზუსტებენ. 25 წლის ინგლისელი თავდამსხმელი „იუნაიტედის“ აკადემიის აღზრდილია, მთავარ გუნდში კი 2015 წლიდან თამაშობს.

## Corriere dello Sport: იუვენტუსი ჩელსის ლუკაკუს ტრანსფერზე შეუთანხმდა



როგორც გავლენიანი იტალიური გამოცემა „Corriere dello Sport“-ი იუწყება, „ჩელსის“ თავდამსხმელ რომელუ ლუკაკუს მალე „იუვენტუსში“ ვიხილავთ. ტრანსფერს წინ პრაქტიკულად აღარაფერი უდგას, თუ არ ჩავთვლით ტრადიციულ სამედიცინო შემოწმებასა და გარკვეულ ფორმალობებს.

„იუვე“ „ჩელსის“ ბელგიელის სანაცვლოდ 40 მილიონ ევროს გადაუხდის. თავად ფეხბურთელი კი 3-წლიან კონტრაქტს დათანხმდა, რომლის მიხედვითაც ხელფასის სახით წელიწადში 8 მილიონ ევროს მიიღებს.

სხვათა შორის, სულ ცოტა ხნის წინ გამჟღავნდა, რომ კლუბებს შორის ლუკაკუს თაობაზე სატრანსფერო მოლაპარაკებები ჯერ კიდევ მარტის თვეში დაიწყო. 30 წლის ფეხბურთელმა, რომელმაც გასული ორი სეზონი „ინტერში“ იჯარის წესით გაატარა, მილანურ კლუბთან სრულფასოვანი კონტრაქტის გაფორმება არ ისურვა, რადგან მთავარ მწვრთნელ სიმონე ინძაგის მხრიდან საკმარის ნდობას ვერ გრძნობდა და იმედგაცრუებული დარჩა იმის გამო, რომ მწვრთნელმა იგი ჩემპიონთა ლიგის წლევანდელ ფინალში გუნდის სასტარტო შემადგენლობაში არ დააყენა.

## ლივერპულის კაპიტანი ალ-იტიფაქს უახლოვდება

„ლივერპულის“ ნახევარმცველი ჯორდან ჰენდერსონი კარიერას დიდი ალბათობით არაბულ „ალ-იტიფაქში“ გააგრძელებს, რომლის მთავარ მწვრთნელადაც ახლახან მერსისაიდული კლუბის ლეგენდა სტივენ ჯერარდი დაინიშნა.

ჟურნალისტ ნიკოლო სკირას ცნობით, 33 წლის ინგლისელი საუდელებს 3-წლიან კონტრაქტზე უკვე შეუთანხმდა, რომლის მიხედვითაც კვირაში 700 000 ფუნტი სტერლინგის (814 000 ევრო) გამომუშავებას შეძლებს. იგი ახალი კლუბისთვის სამედიცინო შემოწმებას ამ კვირაში გაივლის.

„ლივერპულის“ კაპიტანმა გასულ სეზონში 43 მატჩი ჩაატარა და 3 საგოლე პასი გააკეთა.



## იუვენტუსმა ბარსელონას კესიეს სანაცვლოდ 15 მილიონი შესთავაზა

იტალიური პრესისთვის ცნობილი გახდა, თუ რა პირობები შესთავაზა „იუვენტუსმა“ „ბარსელონას“ ფრანკ კესიეს ტრანსფერში. ტურინული კლუბი მზადაა, რომ ფეხბურთელი 1 წლის განმავლობაში იჯარის წესით დაიმატოს, მერე კი იგი 15 მილიონი ევროს სანაცვლოდ გამოისყიდოს.

„იუვე“ 26 წლის კოტდივუარელ ნახევარმცველს მისი კონტრაქტის გამოსყიდვის შემდეგ 4-წლიან ხელშეკრულებასა და წელიწადში 6.5 მილიონი ევროს ოდენობის გასამრჯელოს ჰპირდება.

კესიე „ბარსაში“ შარშან ზაფხულს, თავისუფალი აგენტის სტატუსით გადავიდა, მანამდე კი 5 წლის განმავლობაში „მილანის“ რიგებში გამოდიოდა. მისი მოქმედი კონტრაქტი 2026 წლის ივლისამდეა გათვლილი.



# სტეფ კარიმ გოლფის ტურნირი მოიგო



„გოლდენ სტეიტ უორიორსის" ვარსკვლავმა სტეფენ კარიმ გოლფის საქველმოქმედო ტურნირზე გაიმარჯვა. შეჯიბრების ბოლო დღეს კარი რეიტინგს 4 ქულით ლიდერობდა, მაგრამ შემდეგ ჩოგბურთელ მარდი ფიშს 3 ქულით ჩამორჩა. საბოლოოდ, სტეფმა ბურთი შორეულ ორმოში ერთი დარტყმით მოათავსა, რამაც მას გამარჯვება მოუტანა.

ტურნირში მონაწილეობას სხვა ცნობილი სპორტსმენებიც იღებდნენ: ექს-კალათბურთელი ჩარლზ ბარკლი, ჰოკეისტები - ჯო პაველსკი და ალექს კილორნი, ამერიკული ფეხბურთის მოთამაშეები - პატრიკ მაჰომესი, ტონი რომო და სხვები.

# სერხიო აგუერო: მესის გამო MLS-ში გადასვლაზე სხვა ფეხბურთელებიც დაფიქრდებიან

არგენტინის ნაკრებისა და „მანჩესტერ სიტის" ყოფილმა თავდამსხმელმა სერხიო აგუერომ „ინტერ მაიამიში" თავისი მეგობრის - ლიონელ მესის გადასვლაზე კომენტარი გააკეთა.

– ძალიან მიხარია, რომ ლეო აქ - მაიამშია. მე ამ ქალაქში ვცხოვრობ და ვეცდებით, ამ მომენტით ვისიამოვნოთ. აშშ-ში ტელევიზორში მის თამაშებს ბევრი უყურებდა და ახლა კი მისი ცოცხლად ნახვა შეუძლიათ. ვცდილობ ხოლმე, არ ვკითხო, თუ რომელ კლუბში აპირებს გადასვლას, მაგრამ ზოგჯერ მაინც ვეკითხები. ამჯერად ასე მიპასუხა: „დამელოდე და ბარბექიუ გაამზადე, რადგან შენთან მოვდივარ." ვუთხარი, რომ აქ სიხარულით დახვდებოდნენ. ჩვენ ყოველთვის მშვიდად, მეგობრულად ვსაუბრობთ.



ცხადია, ლეო MLS-ს შეცვლის. მის გამო ამ ჩემპიონატში გადასვლაზე სხვა ფეხბურთელებიც დაფიქრდებიან. იგი MLS-ისთვის შესაფერისი ფეხბურთელია და აქ გადმოსვლის სურვილს სხვებსაც გაუჩენს, – აღნიშნა აგუერომ.

# გასულ სეზონში რეალმა 12-მილიონიანი მოგება ნახა

„რეალმა" 2022-23 წლების სეზონის ფინანსური შედეგები გამოაქვეყნა. გაირკვა, რომ კლუბმა ეს პერიოდი დადებითი ბალანსით დაასრულა და 12 მილიონი ევროს ოდენობის მოგება მიიღო.

ესპანური გრანდის შემოსავალმა ტრანსფერების გათვალისწინების გარეშე 843 მლნ ევრო შეადგინა და პირველად გადააჭარბა პანდემიის დაწყების შემდეგ ჩატარებულ საკლუბო სეზონებში ნაჩვენებ შედეგებს. აღსანიშნავია, რომ კლუბის შემოსავლები წინა სეზონთან შედარებით 17%-ით გაიზარდა.

ამავე დროს, „რეალის" ვალების რაოდენობა 263 მილიონიდან 47 მილიონ ევრომდე შემცირდა შემცირდა. აღსანიშნავია, რომ კლუბი ამჟამად მნიშვნელოვან ფინანსურ რესურსებს ახმარს საშინაო არენის - „სანტიაგო ბერნაბეუს" რეკონსტრუქციას. გეგმის მიხედვით ეს პროცესი წლის ბოლომდე უნდა დასრულდეს.

შეგახსენებთ, რომ „ბლანკოსი" გასულ სეზონში ესპანეთის თასის მფლობელი გახდა, ლა ლიგაში მე-2 ადგილზე გავიდა, ჩემპიონთა ლიგას კი 1/2 ფინალური ეტაპიდან გამოეთიშა.

## ბულგარეთი

პარვალიგა

| | |
|---|---|
| ლოკ.სოფია-ბოტევი ვრ. | 1:0(0:0) |
| ეტარი-სლავია | 0:1(0:1) |

## რუმინეთი

I ლიგა

| | |
|---|---|
| ვოლუნტარი-ბოტოსანი | 2:1(0:0) |
| დინამო-უნივ.კრაკოვია | 0:2(0:0) |

## ფინეთი

ვეიკაუსლიგა

| | |
|---|---|
| ინტერი-კუპს | 1:1(0:0) |

## შვედეთი

ალსვენსკა

| | |
|---|---|
| იურგორდენი-მალმიო | 2:0(1:0) |
| ვარბერგი-აიკ | 1:2(0:2) |

სუპერეტა

| | |
|---|---|
| ორებრო-ტრელებორგი | 0:0 |

## არგენტინა

პროფესიონალლიგა

| | |
|---|---|
| ლანუსი-ბანფილდი | 2:2(1:1) |
| არგ.ხუნიორსი-კოლონი | 1:0(0:0) |
| სენტ.კორდობა-ინდეპენდიენტე | 0:1(0:1) |

## ჩილე

პრიმერადივიზიონი

| | |
|---|---|
| კურიკო-უ.კატოლიკა | 2:0(0:0) |
| პალესტინო-კოკიმბო | 1:1(0:0) |

## კოლუმბია

კლაუსურა

| | |
|---|---|
| ამერ.დე კალი-დეპ.ტოლიმა | 1:0(1:0) |
| ონსე კალდასი-ატლეტიკო ნას. | 1:1(1:1) |

## მექსიკა

აპერტურა

| | |
|---|---|
| პაჩუკა-პუმასი | 1:1(1:1) |

## პარაგვაი

კლაუსურა

| | |
|---|---|
| გუარანი-ლიბერტადი | 0:3(0:1) |

## პერუ

კლაუსურა

| | |
|---|---|
| კუსკო-სინსიანო | 0:0 |
| დეპ.მუნის.-მელგარი | 0:1(0:0) |

## კონკაკაფი

ოქროს თასის ფინალი

| | |
|---|---|
| მექსიკა-პანამა | 1:0(0:0) |

## კალათბურთი

*NBA*

ლას ვეგასის ზაფხულის ლიგა

| | |
|---|---|
| ჰიუსტონი-იუტა | 115:101 |
| სან ანტონიო-ოკლაჰომა | 98:94 |
| პორტლენდი-მაიამი | 78:104 |
| დალასი-ატლანტა | 101:80 |
| კლიპერსი-ლეიკერსი | 103:104 |

## ფრენბურთი

ერთა ლიგა

ქალების ფინალი

| | |
|---|---|
| ჩინეთი-თურქეთი | 1:3 |

## წყალბურთი

მსოფლიოს ჩემპიონატი

| | |
|---|---|
| ყაზახეთი-აშშ | 5:18 |
| ავსტრალია-საბერძნეთი | 9:13 |
| კანადა-ჩინეთი | 13:10 |
| საფრანგეთი-იტალია | 6:13 |
| არგენტინა-ხორვატია | 5:24 |
| მონტენეგრო-სამხ.აფრიკა | 35:10 |
| უნგრეთი-იაპონია | 16:8 |
| სერბეთი-ესპანეთი | 14:16 |

## ჩოგბურთი

***ATP-Bastad (Sweden), clay***

| | |
|---|---|
| მადარასი-ვან აშე | 6:7; 4:6 |
| მონტეირო-გალანი | 5:7; 6:4; 6:4 |

***ATP-Gstaad (Switzerland), clay***

| | |
|---|---|
| ბონზი-ალტმაიერი | 3:6; 4:6 |
| დიერე-ბერგსი | 0:6; 6:4; 3:6 |
| მუნარი-რიჩარდი | 6:3; 6:3 |
| მედიედოვიჩი-ზ.ჟანგი | 4:6; 6:1; 6:4 |
| მულერი-ტიმი | 1:6; 6:7 |
| ჰესლერი-როდიონოვი | 3:6; 5:7 |

***ATP-Newport (USA), grass***

| | |
|---|---|
| ბროუდი-მოჩიზუკი | 6:1; 7:5 |
| ტომპსონი-კოვაჩევიჩი | 6:0; 6:1 |
| შელბაიპი-ჰიიკატა | 3:6; 4:6 |
| სპიზირი-მოუტე | 6:7; 0:6 |

***WTA-Budapest (Hungary), clay***

| | |
|---|---|
| შმიედლოვა-კუდერმეტოვა | 6:2; 6:0 |
| შარმა-რახიმოვა | 6:3; 6:3 |
| კუჩოვა-იუვანი | 5:7; 2:6 |
| სრამკოვა-ავანესიანი | 6:2; 4:6; 3:6 |
| ჩირიკო-ლიუ | 4:6; 4:6 |
| მარია-მონე | 3:6; 7:6; 6:2 |
| საბანინი-ბაინდლი | 4:6; 5:7 |

***WTA-Palermo (Italy), clay***

| | |
|---|---|
| როზატელო-გოლუბიჩი | 6:1; 6:1 |
| ანდრიანაფიტრიმო-ბრენკაჩო | 3:6; 4:6 |
| ბურელი-გრაბერი | 6:4; 7:5 |
| ერანი-ქ.ჟანგი | 0:6; 0:6 |
| პერი-ზანტედეში | 6:4; 6:3 |

# ინტერს ლაუტარო მარტინესი უკაპიტნებს

„ინტერის" მთავარი მწვრთნელი სიმონე ინძაგი მალე გუნდის ახალი კაპიტნისა და ვიცე-კაპიტნის ვინაობებს დაასახელებს. იტალიური პრესის ცნობით, მან გუნდის ძირითად კაპიტნად თავდამსხმელი ლაუტარო მარტინესი შეარჩია, ხოლო ვიცე-კაპიტნის სტატუსი ნახევარმცველ ნიკოლო ბარელას გაუმზადა.

მოგეხსენებათ, „ნერაძურის" ყოფილმა კაპიტნებმა - მარცელო ბროზოვიჩმა, მილან შკრინიარმა და სამირ ჰანდანოვიჩმა კლუბი ამ ზაფხულს დატოვეს.



# კარლოს ალკარასი: უიმბლდონზე ნოვაკის დამარცხებაზე ვოცნებობდი, ეს ჩემთვის ცხოვრების მთავარი დღეა



კარლოს ალკარასმა და ნოვაკ ჯოკოვიჩმა უიმბლდონის ფინალის შემდეგ პრესკონფერენცია გამართეს და თავიანთი დაპირისპირების შესახებ ვრცლად ისაუბრეს. 20 წლის ესპანელმა, რომელმაც მსოფლიოს კაც ჩოგბურთელთა რეიტინგში პირველი ადგილი შეინარჩუნა, გაამხილა, თუ რას ნიშნავს მისთვის „დიდი სლემის" ტურნირების 23-გზის ჩემპიონისა და უიმბლდონის 7-გზის გამარჯვებულის დამარცხება.

– შესანიშნავი შეგრძნებები მაქვს. უიმბლდონის მოგება ჩემი ოცნება იყო და ეს ძალიან მინდოდა, თუმცა არ ველოდი, რომ ამ ოცნებას ასე სწრაფად ავისრულებდი. სიმართლე გითხრათ, ეს ჩემთვის გავაკეთე და არა ახალი ჩოგბურთის თაობისათვის. დიდებულია, როცა ფორმის პიკში მყოფ ნოვაკს ამარცხებ და პირველი ადამიანი ხარ ბოლო 10 წლის განმავლობაში, რომელმაც ეს ამ კორტზე გააკეთა. ამ წუთებს არასოდეს დავივიწყებ. ეს ახალი თაობისთვისაც კარგია - ახალგაზრდა მოთამაშეებმა დაინახეს, როგორ მოვუგე ჯოკოვიჩს და ისინიც იფიქრებენ, რომ ეს მათაც შეუძლიათ.

ახლა ცხოვრებაში ყველაზე ბედნიერი მომენტი მაქვს. 20 წლის ვარ და მსგავსი სიტუაციები ბევრი არ მქონია, ამიტომ ამ მომენტით ვისიამოვნებ. ისტორიაში შევედი. ნოვაკის დამარცხებასა და უიმბლდონის მოგებაზე მას მერე ვოცნებობდი, რაც ჩოგბურთის თამაში დავიწყე, ამიტომ ეს ჩემთვის ცხოვრების მთავარი დღეა.

სიგიჟეა, რაც ნოვაკმა ჩემზე თქვა. არ ვიცი, შეიძლება მართალიცაა... ამაზე ფიქრი არ მინდა. თუმცა, მეც ვთვლი, რომ სრულყოფილი და მრავალმხრივი მოთამაშე ვარ. მაქვს ძლიერი დარტყმები, ფიზიკური და გონებრივი ძალები, რათა ასეთ რთულ სიტუაციებს გავუმკლავდე. ჩავთვლი, რომ კარლოს ალკარასი ერთადერთი ვარ, მაგრამ, ალბათ, „დიდი სამეულის" თითოეული წარმომადგენლის დამახასიათებელ თვისებებს მართლაც ვაერთიანებ.

ახლა სრულიად განსხვავებული ჩოგბურთელი ვარ იმასთან შედარებით, რაც „როლან გაროსის" მიმდინარეობისას ვიყავი. მას მერე ძალიან გავიზარდე და კონკურენციისგან ბევრი რამ ვისწავლე. ჯოკოვიჩთან მატჩის წინ რაღაცები შევცვალე და ფსიქოლოგიურად განსხვავებულად მოვემზადე. ზეწოლასა და ნერვებს ახლა უფრო კარგად გავუმკლავდი, ვიდრე მაშინ.

რა თქმა უნდა, ბალახის საფარი გრუნტიანი კორტისგან განსხვავდება, მაგრამ ძალიან მიხარია, რომ არ დავნებდი და ყველა ქულისთვის ბოლომდე ვიბრძოლე. შესანიშნავი გათამაშებები გვქონდა. გრძელი და ხანგრძლივი სეტები გამოვიდა. 5 რაუნდის გაძლებაში ფსიქოლოგია დამეხმარა...

ეს ძალიან მნიშვნელოვანი მომენტი არა მხოლოდ ჩემთვის იყო, არამედ ჩემი ოჯახისა და ახლობლებისთვისაც. ჩოგბურთში მამაჩემის წყალობით მოვედი. ის ამ სპორტის დიდი გულშემატკივარია და თამაშებს ჯერ კიდევ მაშინ უყურებდა, სანამ დავიბადებოდი. მთელი მისი ცხოვრება ჩოგბურთს უკავშირდება. ჩემი მშობლებისთვისაც წარმოუდგენელი იყო ის, რომ მათი შვილი ისტორიაში შევიდა და უიმბლდონის ჩემპიონი გახდა. ისინი ტრიბუნებზე იყვნენ და მატჩის მერე მათთან ჩახუტება შევძელი, რაც დაუვიწყარი სიხარული იყო. იმედი მაქვს, ამ მომენტის ფოტოსურათები იქნება და მათ სამუდამოდ შევინახავ.

რა ვისწავლე ჩემს შესახებ? კარგი შეკითხვაა, მაგრამ... არ ვიცი. ალბათ, ის, თუ რისი გაკეთება შემიძლია რეალურად. შესაძლოა, ამ მატჩამდე არ მეგონა, რომ ასეთ ეპიკურ 5-სეტიან მატჩში ჯოკოვიჩის დასამარცხებლად მზად ვიყავი. დღეს გავიგე, რომ ლეგენდის წინააღმდეგ 5 საათის განმავლობაში კარგ ფიზიკურ და გონებრივ მდგომარეობაში ყოფნა შემიძლია. დიახ, მატჩის წინ არ მეგონა, რომ ნოვაკის დამარცხება შემეძლო, მაგრამ სხვა „სლემებზე" მეცოდინება, რომ მასთან 5-სეტიანი დაპირისპირებისთვის მზად ვიქნები და ფიზიკურ და ფსიქოლოგიურს დონეს არ დავკარგავ, – თქვა ალკარასმა.

# ნადალი ალკარასს: დატკბი ამ მომენტით, ჩემპიონო!



ესპანელმა ჩოგბურთელმა რაფაელ ნადალმა თავის ახალგაზრდა თანამემამულე კარლოს ალკარასს უიმბლდონზე გამარჯვება მიულოცა.

– გილოცავ, კარლოს. შენ უზარმაზარი სიხარული მოგვიტანე. შენი ამ გამარჯვებით ესპანური ჩოგბურთის პიონერი მანუელ სანტანაც გაიხარებდა, სადაც არ უნდა იყოს ახლა *(სანტანა 2021 წელს გარდაიცვალა-რედ.)*. გეხუტები და დატკბი ამ მომენტით, ჩემპიონო! – წერს რაფა „ტვიტერში".

„დიდი სლემის" 2-გზის ჩემპიონმა სოციალური ქსელიდან მილოცვა მადრიდის „რეალისგანაც" მიიღო:

– კარლოს ალკარას, გილოცავთ უიმბლდონზე ბრწყინვალე გამარჯვებასა და მსოფლიო ჩოგბურთის რეიტინგში პირველობის შენარჩუნებას. თქვენ ესპანური სპორტისა და ყველა მადრიდელისთვის საამაყო ადამიანი ხართ.

# ილია თოფურიამ კარლოს ალკარასის წყალობით 275 000 დოლარი მოიგო



ილია თოფურიამ უიმბლდონის „დიდ სლემზე" კარლოს ალკარასის გამარჯვების შედეგად უზარმაზარი თანხა მოიგო. აბსოლუტური საბრძოლო ჩემპიონატის (UFC) ქართველმა მებრძოლმა ახალგაზრდა ესპანელის ჩემპიონობაზე 50 000 აშშ დოლარის ოდენობის ფსონი ჯერ კიდევ ტურნირის დაწყებამდე დადო. გაზეთ „Marca"-ს ცნობით, მას 275 000 დოლარი ერგება.

– გილოცავ, სენიორ კარლიტოს! შენ ეს დაიმსახურე! შენს გამარჯვებაში ეჭვი არასდროს შემპარვია. ფინალის წინა დღეს ბევრმა მირჩია, ფსონი გამეუქმებინა, მაგრამ ალკარასის გამარჯვების მჯეროდა და არცერთ მომენტში მიყოყმანია, – განუცხადა თოფურიამ მადრიდულ გამოცემას.

# ნოვაკ ჯოკოვიჩი: როჯერს და რაფას ბევრი პლუსიც ჰქონდათ და მინუსიც, კარლოსი სრულყოფილია



ნოვაკ ჯოკოვიჩმა კარლოს ალკარასი საკუთარ თავს და ჩოგბურთის სხვა ლეგენდებს - როჯერ ფედერერსა და რაფაელ ნადალს შეადარა. „ნოლემ" ახალგაზრდა ესპანელთან უიმბლდონის ფინალში დამარცხების შემდეგ აღნიშნა, რომ „კარლიტოსს" მათთან შედარებით გარკვეული უპირატესობაც კი გააჩნია.

კარლოსის მთავარი სიძლიერე? გასული წლის განმავლობაში ყველა საუბრობდა იმაზე, რომ მან თავისი თამაშის სხვადასხვა ელემენტები როჯერისგან, რაფასა და ჩემგან აიღო. ამ აზრს ვეთანხმები. ფაქტობრივად, მან სამივე ჩვენგანისგან საუკეთესო აიღო.

იგი 20 წლის ასაკში შთამბეჭდავი გონებრივი სიმტკიცითა და სიმწიფით გამოირჩევა. მას ესპანელი ხარის მენტალიტეტი აქვს, რომელიც გამარჯვების წყურვილს, მებრძოლ სულსა და წარმოუდგენელი თავდაცვისუნარიანობას მოიცავს - ეს ყველაფერი რაფასაც ახასიათებდა. მისი ბექჰენდი ჩემსას ჰგავს. მრავალი წლის განმავლობაში ჩემი ძლიერი მხარეები სწორედ ბექჰენდი, დაცვა და ადაპტაციის უნარი იყო, რაც მასაც გააჩნია.

გულწრფელად რომ გითხრათ, მისნაირი ჩოგბურთელის წინააღმდეგ არასდროს მითამაშია. ფედერერს და ნადალს ბევრი პლუსიც ჰქონდათ და მინუსიც, კარლოსი კი სრულყოფილი მოთამაშეა. ადაპტაციის გასაოცარი უნარი ხანგრძლივი და წარმატებული კარიერის გასაღებია.

არ ვიცი, მე კიდევ რამდენ ხანს შევძლებ თამაშს, მას კი წინ გრძელი კარიერა ელოდება. ჯერჯერობით მასთან მხოლოდ 3-ჯერ მითამაშია. 3-ვე ძალიან თანაბარი მატჩი იყო.

იმედი მაქვს, აშშ-ის ღია პირველობაზეც ვითამაშებთ. რატომაც არა?! ვფიქრობ, ჩოგბურთისთვის კარგია, როცა ერთმანეთს მსოფლიოს პირველი და მეორე ნომრები შთამბეჭდავ 5-სეტიან და 5-საათიან მატჩს თამაშობენ. რა უნდა იყოს ამაზე უკეთესი ჩვენს სპორტში?

არ ველოდი, თუ კარლოსი წელს ბალახზე ასე კარგად ითამაშებდა. უდავოა, რომ იგი ამჟამად მსოფლიოში საუკეთესო მოთამაშეა და ყველა საფარზე ფანტასტიკურ ჩოგბურთს აჩვენებს.

ფინალში მიღებული ორი გაფრთხილება? სათქმელი ბევრი არაფერია. პირველად მსაჯმა დროის გაჭიანურებისთვის გამაფრთხილა - ასეთი რამ ხდება ხოლმე; მეორე გაფრთხილება კი ჩოგნის გატეხვისთვის მივიღე, რაც უბრალოდ იმედგაცრუების გამოხატვა იყო, _ ამბობს ჯოკოვიჩი.

# ალკარასმა მსოფლიო რეიტინგში პირველობა შეინარჩუნა. ვონდროუშოვა ტოპ-ათეულში შევიდა

ჩოგბურთის საერთაშორისო ასოციაციებმა (ATP და WTA) წლის რიგით მე-3 „დიდი სლემის" ტურნირის - უიმბლდონის დასრულების შემდეგ კაც და ქალ ჩოგბურთელთა რეიტინგები გაანაახლეს. ATP-ს ტოპ-ათეულში სიტუაცია არ შეცვლილა და ლონდონური „სლემის" გამარჯვებულმა კარლოს ალკარასმა პირველობა შეინარჩუნა. უცვლელია WTA-ს რეიტინგის ლიდერიც, მიუხედავად იმისა, რომ იგი უიმბლდონს 1/4 ფინალური ეტაპიდან გამოეთიშა, ხოლო ჩემპიონი მარკეტა ვონდროუშოვა 32 პოზიციით დაწინაურდა და საუკეთესოთა ათეულში მოხვდა.



**ATP-ს ტოპ-ოცეული:**

1 (1). კარლოს ალკარასი (ესპანეთ) - 9 675 ქულა
2 (2). ნოვაკ ჯოკოვიჩი (სერბეთი) - 8 795
3 (3). დანიილ მედვედევი (რუსეთი) - 6 520
4 (4). კასპერ რუუდი (ნორვეგია) - 5 005
5 (5). სტეფანოს ციციპასი (საბერძნეთი) - 4 850
6 (6). ჰოლგერ რუნე (დანია) - 4 825
7 (7). ანდრეი რუბლიოვი (რუსეთი) - 4 525
8 (8). იანიკ სინერი (იტალია) - 3 975
9 (9). ტეილორ ფრიცი (აშშ) - 3 310
10 (10). ფრენსის ტიაფო (აშშ) - 3 130
11 (11). კარენ ხაჩანოვი (რუსეთი) - 3 035
12 (12). ფელიქს ოჟე-ალიასიმი (კანადა) - 2 770
13 (13). ქემერონ ნორი (დიდი ბრიტანეთი) - 2 610
14 (15). ტომი პოლი (აშშ) - 2 320
15 (14). ბორნა ჩორიჩი (ხორვატია) - 2 315
16 (16). ლორენცო მუზეტი (იტალია) - 2 290
17 (18). უბერტ ურკაჩი (პოლონეთი) - 2 195
18 (17). ალექს დე მინორი (ავსტრალია) - 2 150
19 (21). ალექსანდერ ზვერევი (გერმანია) - 1 720
20 (19). ფრანსისკო ჩერუნდოლო (არგენტინა) - 1 655

318 (323). ნიკოლოზ ბასილაშვილი (საქართველო) - 161

**WTA-ს ტოპ-ოცეული:**

1 (1). იგა სვიონტეკი (პოლონეთი) - 9 315 ქულა
2 (2). არინა საბალენკა (ბელორუსი) - 8 845
3 (3). ელენა რიბაკინა (ყაზახეთი) - 5 465
4 (4). ჯესიკა პეგულა (აშშ) - 5 395
5 (5). კაროლინ გარსია (საფრანგეთი) - 4 865
6 (6). ონს ჟაბური (ტუნისი) - 4 846
7 (7). კორი გაუფო (აშშ) - 3 390
8 (9). პეტრა კვიტოვა (ჩეხეთი) - 3 341
9 (8). მარია საკარი (საბერძნეთი) - 3 310
10 (43). მარკეტა ვონდროუშოვა (ჩეხეთი) - 3 106
11 (10). დარია კასატკინა (რუსეთი) - 3 010
12 (11). ბარბორა კრეიჩიკოვა (ჩეხეთი) - 2 870
13 (13). ბეატრიზ ჰადად მაია (ბრაზილია) - 2 745
14 (12). ვერონიკა კუდერმეტოვა (რუსეთი) - 2 570
15 (14). ბელინდა ბენჩიჩი (შვეიცარია) - 2 560
16 (18). მედისონი ქიისი (აშშ) - 2 535
17 (15). ლუდმილა სამსონოვა (რუსეთი) - 2 315
18 (16). კაროლინა მუჩოვა (ჩეხეთი) - 2 304
19 (20). ვიქტორია აზარენკა (ბელორუსი) - 2 235
20 (17). იელენა ოსტაპენკო (ლატვია) - 2 165

366 (344). ეკატერინე გორგოძე (საქართველო) - 160

## აურელიო დე ლაურენტისი: იტალიაში ზედმეტად ბევრი შეზღუდვაა, რის გამოც კლუბებს ბიზნესის კეთება არ შეუძლიათ



„ნაპოლის“ პრეზიდენტი აურელიო დე ლაურენტისი თვლის, რომ იტალიური კანონები სერია A-ს კლუბების განვითარებას აფერხებს.

— „ნაპოლიში“ ცოტა სამხრეთ ამერიკელია? ეს ქვეყანაში მოქმედი საიმიგრაციო კანონის შედეგია. ჩვენ ერთადერთი ქვეყანა ვართ, სადაც გუნდში მხოლოდ ორი ისეთი მოთამაშის ყოფნაა დაშვებული, რომელიც ევროკავშირის მოქალაქე არაა. კარგი იქნებოდა ამ თემაზე დიალოგის დაწყება იტალიის ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტთან და ფეხბურთის ფედერაციის ხელმძღვანელთან. მათ თავიანთი პოზიციები უნდა დათმონ და გაითვალისწინონ, რომ ფეხბურთი მთელ იტალიურ სპორტს აფინანსებს. ამ ზაფხულს კიდევ რამდენიმე ფეხბურთელის დამატებას ვაპირებთ, თუმცა საიმიგრაციო კანონის დაცვაც მოგვიწევს.

კანონის წინააღმდეგ ვერ წავალთ, მაგრამ იტალიაში ზედმეტად ბევრი შეზღუდვაა, რის გამოც კლუბებს ბიზნესის კეთება არ შეუძლიათ. ამ სიტუაციიდან რალაც გამოსავალი უნდა ვიპოვოთ, — ამბობს დე ლაურენტისი.

## MLS-ში ბუსკეტსის ნაცვლად არბელოას მიესალმნენ

აშშ-კანადის მთავარმა საფეხბურთო ლიგამ (MLS) გადაწყვიტა, „ინტერ მაიამიში“ სერხიო ბუსკეტსის გადასვლის ფაქტს გამოხმაურებოდა და ესპანელ ნახევარმცველს მიკრო-ბლოგ „ტვიტერის“ საშუალებით მისალმებოდა. როგორც ჩანს, გვერდის ადმინისტრაციას ბუსკეტსი ალვარო არბელოაში აერია და მის ნაცვლად სწორედ „რეალის“ ექს-ფეხბურთელის ფოტო გამოაქვეყნა წარწერით - „ის მხოლოდ და მხოლოდ იმარჯვებს.“ MLS-ის გვერდს შეცდომაზე უამრავმა ადამიანმა მიუთითა, რის შემდეგაც არბელოას ფოტო წაიშალა.

შეგახსენებთ, რომ „მაიამიმ“ 35 წლის სერხიო ბუსკეტსს კონტრაქტი 2025 წლამდე გაუფორმა. კვირას კლუბმა განცხადება ლიონელ მესის დამატების შესახებაც გააკეთა.




## ჯუდ ბელინგემი: კროოსი პასების ოსტატია



„რეალის“ ნახევარმცველმა ჯუდ ბელინგემმა თავისი ახალი თანაგუნდელი ტონი კროოსი დაახასიათა.

— ტონი პასების ოსტატია. იგი თამაშის ამ კომპონენტში შესანიშნავია. მისი ჩაწოდების შემდეგ ბურთი ყოველთვის ზუსტად იქ ეშვება, სადაც მას სურს. კროოსის თამაშის ყურება შორიდანაც სასიამოვნო იყო, ახლა მის გვერდით ყოფნა მახარებს. მომწონს, როცა მისგან პასს ვილებ და მერე ჩემი შესაძლებლობების ჩვენებას ვცდილობ. იმედი მაქვს, მოედანზე ერთმანეთს საუკეთესო თვისებების გამოვლენაში დავეხმარებით, — ამბობს 20 წლის ინგლისელი ფეხბურთელი, რომელიც „რეალმა“ ივნისში „დორტმუნდისგან“ 103 მილიონი ევროს სანაცვლოდ შეიძინა. მან 5-ნომრიანი მაისური დაისაკუთრა და 6-წლიანი კონტრაქტი გააფორმა.

## ინტერი არსენალის თავდამსხმელში 40 მილიონს იხდის

„ინტერი“ „არსენალის“ ფორვარდ ფოლარინ ბალოგუნის შეძენით ინტერესდება. როგორც ირკვევა, 22 წლის ფეხბურთელი „ნერაძურის“ მთავარ სატრანსფერო სამიზნეს წარმოადგენს.

მილანელები ამჟამად მოლაპარაკებებს ფეხბურთელის წარმომადგენლებთან აწარმოებენ და თუ მათ პირადი კონტრაქტის პირობებზე შეუთანხმდებიან, „არსენალს“ უკვე ოფიციალური სატრანსფერო წინადადებით მიმართავენ და მის სანაცვლოდ 40 მილიონ ევროს შესთავაზებენ. თავის მხრივ ლონდონელები ბალოგუნს 50 მილიონ ფუნტ სტერლინგად (58 მლნ ევრო) აფასებენ.

აშშ-ს ნაკრების შემტევმა 2022-23 წლების საკლუბო სეზონი იჯარი წესით „რეიმსში“ გაატარა და საფრანგეთის ლიგა 1-ის 37 მატჩში 21 გოლი გაიტანა.



## რობერტო კარლოსი: არ მჯერა, რომ ანჩელოტის ბრაზილიის ნაკრებთან კონტრაქტი აქვს

„რეალის“ ყოფილ მცველ რობერტო კარლოსს ეჭვი ეპარება იმაში, რომ მადრიდული გუნდის დამრიგებელმა კარლო ანჩელოტიმ ბრაზილიის ნაკრებთან კონტრაქტი უკვე გააფორმა.

როგორც იცით, ცოტა ხნის წინ ბრაზილიის ფეხბურთის კონფედერაციის პრეზიდენტმა ედნალდო როდრიგესმა განაცხადა, რომ იტალიელი სპეციალისტი ეროვნულ გუნდს 2024 წლის ზაფხულში ჩაიბარებს მას მერე, რაც „რეალთან“ კონტრაქტი დაუმთავრდება. თუმცა, უცხოურ პრესაში წერენ, რომ ანჩელოტიმ ბრაზილიელებთან თანამშრომლობის თაობაზე შეთანხმებას ხელი უკვე მოაწერა.



— არ მჯერა იმ ხმების, რომლის თანახმადაც ანჩელოტიმ ბრაზილიის ნაკრებთან კონტრაქტი დადო, რადგან მას „რეალთან“ ხელშეკრულება აკავშირებს. კარლომ ჩვენი ეროვნული ნაკრების შესახებ რამდენიმე შეკითხვა დამისვა, თუმცა არასდროს უთქვამს, რომ მის სათავეში მუშაობა სურდა. ძალიან გამიკვირდა, როცა გაჩნდა ინფორმაცია, რომ ნაკრებთან კონტრაქტი გააფორმა. ეს ძალიან უცნაურია. ერთდროულად ორი კონტრაქტის ქონა არაპროფესიონალური იქნებოდა, — ამბობს ბრაზილიელი ექს-ფეხბურთელი.

# ბარსაში ჟირონას ნახევარმცველს ელიან




„ბარსელონას" სკოლის აღზრდილი ორიოლ რომეუ კატალონიურ კლუბში ბრუნდება. ესპანური პრესის ინფორმაციით, „ჟირონას" ფეხბურთელმა „ბლაუგრანასთვის" სამედიცინო შემოწმება უკვე გაიარა და ტრანსფერის გაოფიციალურებამდე შესაბამის დოკუმენტებზე ხელის მოწერაღა დარჩა.

„ბარსელონა" 31 წლის ნახევარმცველის სანაცვლოდ 5-6 მილიონ ევროსა და სხვადასხვა ბონუსებს გადაიხდის. გარიგების ფარგლებში, საპირისპირო გზას პაბლო ტორე დაადგება, რომელიც „ჟირონაში" მომდევნო სეზონს იჯარის წესით გაატარებს.

რომეუ „ბარსას" აკადემიაში 2004 წელს მოხვდა, თუმცა ძირითად გუნდში თამაშის საშუალება ერთადერთხელ მიეცა. იგი სხვადასხვა დროს „ჩელსის", „ვალენსიას", „შტუტგარტისა" და „საუთჰემპტონის" რიგებშიც ირიცხებოდა.

# დი მარია ბენფიკაში გოლით დაბრუნდა




არგენტინელმა ვინგერმა ანხელ დი მარიამ „ბენფიკაში" დაბრუნების შემდეგ ჩატარებულ პირველივე მატჩში გოლის გატანა მოახერხა. პორტუგალიურმა გუნდმა ამხანაგურ მატჩში შვეიცარიული „ბაზელი" 3:1 დაამარცხა, ანგარიში კი 24-ე წუთზე სწორედ დი მარიამ გახსნა. მან პირველი ტაიმი ჩაატარა და 41-ე წუთზე საგოლე გადაცემაც შეასრულა.

შეგახსენებთ, რომ „ბენფიკა" დი მარიას საფეხბურთო კარიერაში პირველი ევროპული კლუბი იყო, რომლის რიგებშიც 2007-10 წლებში თამაშობდა. იქიდან იგი მადრიდის „რეალში" გადაბარგდა, შემდგომ პერიოდებში კი „მანჩესტერ იუნაიტედში", „პარი სენ-ჟერმენსა" და „იუვენტუსშიც" ასპარეზობდა. 35 წლის ფეხბურთელმა „იუვეს" რიგები ამ ზაფხულს დატოვა მას შემდეგ, რაც კლუბთან კონტრაქტის ვადა ამოეწურა. მსოფლიოს 2022 წლის ჩემპიონმა იტალიის სერია A-ს გასულ სეზონში 26 მატჩი ჩაატარა, 4 გოლი გაიტანა და ამდენივე შედეგიანი გადაცემა შეასრულა. კონტრაქტის მიხედვით იგი „ბენფიკაში" 1 სეზონს გაატარებს.

# პსჟ-ს გულშემატკივრები ვლაჰოვიჩს თითების მოკვეთით დაემუქრნენ

სოციალურ ქსელებში „პარი სენ-ჟერმენის" გულშემატკივართა ფოტოები გავრცელდა, რომელთაც სტადიონ „პარკ დე პრენსის" ფონზე ხელში გრძელი ბანერი უკავიათ. მასზე არსებული წარწერა „იუვენტუსის" თავდამსხმელ დუშან ვლაჰოვიჩს ეხება და მუქარის შინაარსს შეიცავს. კერძოდ, ბანერზე შემდეგი სიტყვები წერია: „თუ პარიზში გადმოხვალ, სამ თითს მოგაჭრით."




საქმე იმაშია, რომ პსჟ-ს ზოგიერთი ფანი ვლაჰოვიჩს ნაციონალისტად მიიჩნევს. მათ ასეთი დასკვნა იმ ფოტოს ნახვის შემდეგ გააკეთეს, რომელზეც ფეხბურთელი სერბეთის ნაკრების მაისურში გამოწყობილია ალბეჭდილი. მაისურზე სერბეთის რუკაა გამოსახული, თუმცა ის კოსოვოს ტერიტორიასაც მოიცავს. ამასთან, ვლაჰოვიჩი სამი თითის კომბინაციას გამოსახავს. პარიზელები ეჭვობენ, რომ იგი ფარულად ნეონაცისტებს ესალმება, თუმცა უნდა ითქვას, რომ სერბეთში ამ ჟესტს შუა საუკუნეებიდან მოყოლებული გამარჯვების ან სიხარულის ნიშნად იყენებენ. ამ ჟესტს ასევე ქრისტიანული წარმოშობა აქვს და წმიდა სამებას გამოხატავს.

შეგახსენებთ, რომ პსჟ ვლაჰოვიჩის ტრანსფერზე მუშაობს.

# მანჩესტერს ჩავი სიმონსის დამატება სურს

„პარი სენ-ჟერმენი" ნახევარმცველ ჩავი სიმონსის იჯარის წესით გასხვისებას აპირებს. 20 წლის ნიდერლანდელი ფეხბურთელის დამატების სურვილი უკვე რამდენიმე კლუბმა გამოთქვა, მათ შორის, „მანჩესტერ იუნაიტედმა" და „ლაიფციგმაც".

სიმონსი 9 წლის განმავლობაში „ბარსელონას" სკოლაში იზრდებოდა და „ლა მასიაში" ერთ-ერთ ყველაზე გამორჩეულ ტალანტად ითვლებოდა. 2019 წელს იგი პსჟ-ს სარფიან წინადადებაზე დათანხმდა და პარიზში გადაბარგდა, თუმცა გუნდის ძირითად შემადგენლობაში ფეხი ვერ მოიკიდა და შარშან იჯარით „პსვ ეინდჰოვენში" გაანათხოვრეს, სადაც 48 მატჩში 22 გოლი გაიტანა და 12 საგოლე პასი გააკეთა. ჩავი სიმონსმა ნიდერლანდების ნაკრებთან ერთად მსოფლიოს 2022 წლის ჩემპიონატზეც იასპარეზა.



# ალექს ბალდემ სიტი უარით გაისტუმრა

„ბარსელონას" განაპირა მცველმა ალექს ბალდემ „მანჩესტერ სიტიში" გადაბარგებაზე უარი განაცხადა. „Mundo Deportivo"-ს ცნობით, ახალგაზრდა ფეხბურთელს ინგლისური კლუბისგან მიღებულ შეთავაზებაზე დიდხანს არ უფიქრია, რადგან მას „ბარსასთან" ახალი კონტრაქტის გაფორმება სურს.

19 წლის ბალდემ გასულ სეზონში „ბარსელონას" ძირითადი შემადგენლობიდან ვეტერანი ჟორდი ალბა „ამოაგდო", რომელმაც ახლახან კლუბი თავისუფალი აგენტის სტატუსით დატოვა. ბალდე კლუბის აკადემიის აღზრდილია და მის ამჟამინდელ კონტრაქტს ვადა 2024 წლის ზაფხულამდე აქვს.


## მკურნალობა მამაკაცებისთვის:

პოტენციის დაქვეითება, პროსტატიტი, ადენომა, ხშირი შარდვა, შარდის შეკავება-შეუკავებლობა, წვა, ქავილი, ტკივილი შარდვისას, ვირუსული და ვენერიული დაინფიცირება, უნებლიე შარდვის (ენურეზის) მკურნალობა ბავშვებსა და მოზრდილებში, ასევე ალკოჰოლიზმის და ნარკომანიისგან სწრაფი გათავისუფლება, ნერვული სისტემის მოწესრიგება, ღვიძლის ფუნქციების აღდგენა-მკურნალობა მცენარეული პრეპარატებით უკუჩვენებების გარეშე 100%-იანი გარანტიით.

ტელ: 599 25 44 14; 593 44 58 65

ექიმი მზია

მის: ალმაშენებლის №154 „მწვანე ოფისი"

## პსჟ მბაპეს ულტიმატუმს წაუყენებს



„პარი სენ-ჟერმენს" სურს, რომ საბოლოოდ გაარკვიოს, თუ რა გეგმები აქვს კილიან მბაპეს. „Sports Zone"-ის ცნობით, კლუბის ხელმძღვანელები ფეხბურთელს დღეს პირადად შეხვდებიან და ულტიმატუმს წაუყენებენ: კილიანი მათ ან კონტრაქტის გახანგრძლივებაზე უნდა დათანხმდეს, ანაც მას ამ ზაფხულს გაყიდიან. თუკი ფრანგი ფორვარდი ახალ კონტრაქტზე უარს იტყვის, პსჟ-ს მის დაუყოვნებლივ გაყიდვას ეცდება, რათა გაისად იგი უფასოდ არ დაკარგოს.

თუ მბაპეს გაყიდვა გადაწყდა, პარიზელები მის სანაცვლოდ 200 მილიონ ევროსა და დამატებით იმ თანხის ნახევარს მოითხოვენ, რაც ფეხბურთელს ე.წ. „ერთგულების ბონუსის" სახით უნდა გადაუხადონ. ცნობილია, რომ ეს პირობები სავსებით მისაღებია „არსენალისა" და „ლივერპულისთვის", თუმცა 24 წლის ბომბარდირი ამ კლუბების ვარიანტებს არ განიხილავს. მას სურს, რომ პსჟ-ში მოქმედი კონტრაქტის ვადის ამოწურვამდე - 2024 წლის ივლისამდე დარჩეს, მერე კი „რეალში" გადაბარგდეს.

## კუადრადო ინტერში ითამაშებს



„იუვენტუსის" ყოფილი მცველი ხუან კუადრადო იტალიიდან წასვლას არ აპირებს. იგი დიდი ალბათობით „ინტერის" მაისურს მოირგებს.

ჟურნალისტ ფაბრიციო რომანოს ცნობით, კოლუმბიელი ფეხბურთელი „ნერაძურის" 1-წლიანი კონტრაქტის პირობებზე შეუთანხმდა, დღეს მილანური კლუბისთვის სამედიცინო შემოწმებას გაივლის და თუ რაიმე გაუთვალისწინებელი არ მოხდა, შესაბამის დოკუმენტებს ხელს მოაწერს. მისი ხელფასი წელიწადში 2 მილიონი ევრო იქნება, რასაც ბონუსებიც დაემატება.

35 წლის კუადრადომ 2022-23 წლების საკლუბო სეზონში 47 მატჩი ჩაატარა, 2 გოლი გაიტანა და 4 საგოლე გადაცემა შეასრულა. იგი „იუვედან" თავისუფალი აგენტის სტატუსით წამოვიდა.

## პსჟ-მ სიტის სილვას სანაცვლოდ დონარუმა და ვერატი შესთავაზა





„Foot Mercato"-ს ცნობით, „პარი სენ-ჟერმენმა" „მანჩესტერ სიტის" ფეხბურთელების გაცვლა შესთავაზა. პარიზელებმა მანჩესტერულ კლუბს ნახევარმცველ ბერნარდუ სილვას დათმობა სთხოვეს, სანაცვლოდ კი მეკარე ჯანლუიჯი დონარუმა და ჰავბეკი მარკო ვერატი შეთავაზეს.

ამ თემაზე საუბარი პსჟ-ს მრჩეველ ლუიშ კამპუშსა და „სიტის" სპორტულ დირექტორ ჩიკი ბეგირისტაინს შორის გაიმართა. როგორც ირკვევა, ბეგირისტაინმა შეთავაზებაზე მყისიერი უარი თქვა. ამის მიუხედავად, პარიზელებს სილვას გადაბირების იმედი არ დაუკარგავთ.

აქვე შეგახსენებთ, რომ პორტუგალიელი ფეხბურთელის შეძენით „ბარსელონაც" ინტერესდება, თუმცა კატალონიელებს ტრანსფერისათვის საჭირო ფინანსური სახსრები ჯერჯერობით არ გააჩნიათ. როგორც ამბობენ, ამისათვის კლუბს დაახლოებით 140 მილიონი ევროს მობილიზება სჭირდება.

## ლიუის ჰამილტონი: არ მაინტერესებს, რომელ პოზიციაზე დავამთავრებ სეზონს



„მერსედესის" პილოტმა ლიუის ჰამილტონმა განაცხადა, რომ ფორმულა 1-ის მიმდინარე სეზონის საბოლოო შედეგები არ აღელვებს, რადგან აქცენტს 2024 წლის სეზონზე აკეთებს.

_ საერთოდ არ მაინტერესებს, რომელ პოზიციაზე დავამთავრებ სეზონს. ახლა მხოლოდ იმაზე ვარ ორიენტირებული, რომ ჩემს გუნდს ბოლიდის განვითარებისათვის საჭირო ინფორმაცია მაქსიმალურად მივაწოდო, ბიჭებთან ერთად ვიმუშაო და დავრწმუნდე, რომ ამ მანქანას საუკეთესოდ გავმართავთ. როცა მომავალ წელს დავიწყებთ ან პირველ ტესტებს ჩავატარებთ, სრული თავდადებით მუშაობისთვისაც მზად ვიქნებით. ასე რომ, მოუთმენლად ველოდები, რა იქნება შემდგომში, _ თქვა ჰამილტონმა, რომელიც ამჟამად პილოტთა საერთო ჩათვლაში მაქს ფერსტაპენის („მერსედესი"), სერხიო პერესისა („რედ ბული") და ფერნანდო ალონსოს („ასტონ მარტინი") შემდეგ მე-4 ადგილს იკავებს.

## ჰარი მაგუაირს ჩელსიში ეპატიჟებიან

„მანჩესტერ იუნაიტედის" უკანახაზელმა ჰარი მაგუაირმა კარიერა შესაძლოა „ჩელსიში" გააგრძელოს. Goal.com-ის ინფორმაციით, ლონდონური კლუბი 29 წლის ინგლისელის შეძენის ვარიანტს აქტიურად განიხილავს. „ლურჯები" ტრანსფერის განხორციელებას სავარაუდოდ 35 მილიონი ევროს სანაცვლოდ შეძლებენ.

აღსანიშნავია, რომ მაგუაირის კონტრაქტს ვადა 2025 წლის ზაფხულამდე აქვს. გასულ სეზონში მან „იუნაიტედის" შემადგენლობაში ადგილი დაკარგა, ახლახან კი მთავარმა მწვრთნელმა ერიკ ტენ ჰაგმა კაპიტნის სამკლავურიც ჩამოართვა. მანჩესტერელებმა იგი 2019 წელს „ლესტერისგან" 87 მილიონ ევროდ შეიძინეს.



ISSN 2720-8079

გაზეთი რეგისტრირებულია თბილისის საგადასახადო ინსპექციის მიერ №5988
მის: ჩუბინაშვილის ქ. №50.
ელ. ფოსტა sport_info@mail.ru